შპს აგარაკი უწერაში

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 4
1. ზოგადი ინფორმაცია 4
2. მომზადების საფუძველი 5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 5
4. ფული და ფულის ექვივალენტები 9
5. მარაგები 9
6. სესხები 9
7. შემოსავალი რეალიზაციიდან 10
8. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება 10
9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 10
10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-24	31-12-23	31-12-22
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	6,873	210,378	284,552
სავაჭრო მოთხოვნები		3,126	3,126	7,398
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	64,601	95,778	8,809
გადახდილი ავანსები		198,488	33,240	321,938
სხვა მიმდინარე აქტივები		5,196	-	225,750
სულ მოკლევადიანი აქტივები		**278,284**	**342,522**	**848,447**
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		4,187,532	4,261,147	4,476,460
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4,187,532**	**4,261,147**	**4,476,460**
სულ აქტივები		**4,465,816**	**4,603,669**	**5,324,907**
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		11,073	36,284	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**11,073**	**36,284**	-
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	6	4,557,427	4,302,003	4,146,810
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**4,557,427**	**4,302,003**	**4,146,810**
სულ ვალდებულებები		**4,568,500**	**4,338,287**	**4,146,810**
საწესდებო კაპიტალი		1,961,853	1,968,853	2,004,922
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(2,064,537)	(1,703,471)	(826,825)
სულ საკუთარი კაპიტალი		**(102,684)**	**265,382**	**1,178,097**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**4,465,816**	**4,603,669**	**5,324,907**

დირექტორი Shota Saganelidze 01008027883 Digitally signed by Shota Saganelidze Date: 2025.09.30 19:33:25 შოთა საგანელიძე

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	7	552,481	659,438
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	8	(160,005)	(273,397)
საერთო მოგება		**392,476**	**386,041**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(217,012)	(387,460)
ხელფასები და სხვა სარგებელი		(281,114)	(292,889)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(80,418)	(235,382)
სხვა შემოსავლები		80,182	41,545
სხვა ხარჯები		(115,754)	-
(ზარალი)/ მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		**(221,640)**	**(488,145)**
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		(139,426)	(156,658)
მოგება საკურსო სხვაობიდან		-	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**(361,066)**	**(644,803)**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		**(361,066)**	**(644,803)**

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	**1,968,853**	**(826,825)**	**1,142,028**
წმინდა ზარალი	-	(876,646)	(876,646)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	**1,968,853**	**(1,703,471)**	**265,382**
წმინდა ზარალი	-	(361,066)	(361,066)
კაპიტალის შემცირება	**(7000)**	**-**	**(7000)**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	**1,961,853**	**(2,064,537)**	**(102,684)**

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აგარაკი უწერაში დაფუძნდა 2017 წლის 2 თებერვალს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ონის რაიონი, სოფელი უწერა, (ყოფილი მეტყევის სახლი). კომპანიის

საიდენტიფიკაციო კოდია: 437978253. კომპანიის 10% წილის მფლობელია ფიზიკური პირი: შოთა საგანელიძე (პ/ნ 01008027883), 90% წილის მფლობელია ფიზიკური პირი: ბადრი ჯაფარიძე (პ/ნ 01014001058) .

კომპანია ახორციელებს სასტუმრო და სარესტორნო საქმიანობას. კომპანიის ძირითადი მიზანია ტურისტული სერვისების განთავსებისა და კვების უზრუნველყოფა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვიზიტორებისთვის, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემოსავლის სტრუქტურასა და სეზონურ დატვირთვებზე. სასტუმრო და რესტორანი მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ უწერაში. სასტუმროს ბრენდული სახელია „MANINO UTSERA“.

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს აღმასრულებელი დირექტორი - შოთა საგანელიძე.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და

ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	**ევრო**
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	**სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)**
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
მანქანა-დანადგარები	4-5
ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასახვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი

გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და ნახევარფაბრიკატები. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.4 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.5 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.6 შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს

იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას აქვს ფული სალაროში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6,873	210,378
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-
სულ	**6,873**	**210,378**

5. მარაგები

კომპანიას გააჩნია ნედლეული და ნახევარფაბრიკატები.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

მარაგები	31-12-24	31-12-23
ნედლეული და მასალები	-	-
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	64,601	95,778
სულ	**64,601**	**95,778**

6. სესხები

2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიას აღებული ჰქონდა სესხები დაკავშირებული ფიზიკური პირისგან, რომლის საბალანსო ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სესხები	31-12-24	31-12-23
დაკავშირებული ფიზიკური პირისგან	4,557,427	4,302,003
სულ	**4,557,427**	**4,302,003**

7. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სარესტორნო ბიზნესი, მათ შორის ადგილზე მომსახურებისა და მიწოდების სერვისი.

2024 და 2023 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

შემოსავალი რეალიზაციიდან	**2024**	**2023**
შემოსავალი დასაბეგრ პირებზე	513,413	659,438
შემოსავალი დაბეგვრისაგან გათავისუფლებულ პირებზე	39,068	-
სულ	**552,481**	**659,438**

8. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

2024 და 2023 წლების განმავლობაში დარიცხული რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	**2024**	**2023**
ძირითადი მასალის დანახარჯები	160,005	273,397
სულ	**160,005**	**273,397**

9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, საკონსულტაციო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

2024 წლისთვის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**2024**
საკონსულტაციო ხარჯი	17,165
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	44,312
რემონტის ხარჯი	8,165
საბანკო ხარჯი	8,659
მარკეტინგული ხარჯები	6,334
საექსპლუატაციო/ტექნიკური ხარჯები	530

ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	6,000
ბიუჯეტში გადასახდელი ხარჯები	40,261
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	27,154
აიტი და პროგრამული მომსახურების ხარჯი	5,998
საწვავის ხარჯი	46,170
სხვა ხარჯები	4,240
სულ	**217,012**

10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

10.1 მენეჯმენტის კომპენსაცია

2024 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 50,630 ლარი, ხოლო 2023 წელს 49,648 ლარი.

კომპანიას დამფუძნებლისგან მიღებული აქვს სესხები, რომლის ნაშთმაც 2024 წლის ბოლოს შეადგინა 4,557,427 ლარი, ხოლო 2023 წლის ბოლოს 4,302,003 ლარი.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

დირექტორი Shota Saganelidze 01008027883 Digitally signed by Shota Saganelidze Date: 2025.09.30 19:34:14 შოთა საგანელიძე